

ერეკლე მეფის დაბადებიდან 300 წლისთავისთვის:

– მე ვარ ავი მუსაიფი...

(ამონაკრები ძველი, ახალი და უახლესი
„ქართლის ცხოვრებიდან“).

შესავლის მაგიერ

მკითხველს შევახსენებ – ეს სათაური პატარა კახის ხმალზე ამოტვიფრული მეტაფორიდანაა: „მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონი ირაკლისა“. არ ვიცი, ავტორი მისი შეიძლება სულ სხვაა – ხმალი ხომ, ხევსურებმა და თუმებმა გამოჰქედეს... ალბათ, გახსოვთ ეს ფოლკლორიც:

„ხმალო, ხევსურეთს ნაჭედო,
თელავში თუმმა გაგფერა,
მეფე ერეკლემ გაკურთხა,
საომრად ჯვარი დაგწერა“.

ეს ზეწოდებაც – „პატარა კახი“, ხალხმა დაანათლა არა ტანის გამო, როგორც ზოგს ჰგონია, არამედ სიმტკიცის, სიმამაცისა და სიძლიერის გამო, ალაზნანთან 15 წლის პირტიტველა ბიჭმა რომ ქიზიყელთა რაზმით მტერი პირწმინდად მოსპო და გაანადგურა. ამიტომ გამოუთქვეს ეს ლექსიც:

„ეს ჩვენი მეფე ერეკლე,
ერთი პატარა კახია,
ჯაჭვის პერანგი ჩააცვეს,
გაჰკრა ხელი და გახია“.

– ხმალი ქნევაში გამიცვდა, სწორედ რომ მასზე ითქმის, სად არ იქნია იგი – აქ, საჩვენოში, თუ იქ, სპარსეთში, ავღანეთსა და ინდოეთში... ბოლოს კი, 75 წლის კაცმა კრწანისთან, ძლივს რომ გამოიყვანეს ბრძოლის ველიდან განწირული შინაურებიდანაც და „ერთმორწმუნე მოკავშირისგანაც“...

ილია და ერეკლე მეფე...

აი, ვუსმინოთ ილიას, თუ რა საოცარი სიყვარულითა და აღტაცებით აღსავსე სიტყვები უძღვნა ერეკლე მეფეს 1898 წლის იანვარ-თებერვლის „ივერიის“ ნომრებში, მიძღვნილი მისი გარდაცვალების 100 წლისთავისადმი, იქ ხომ, სტატიების მთელი ციკლია მასზე:

„...ზედმიწევნით დაგვიხატა დიდბუნევანობა მეფე ერეკლესი თვით ქართველმა ერმა, როცა იგრძნო, რომ მეფე ერეკლე დაჰკარგა და „მამული ველარ იხილავს ერეკლეს ხმალსა მღელვარეს“...

ერმა ამისთანებში უფრო მოსწრებული და ზედგამოჭრილი სიტყვა იცის იმიტომ, რომ ბაგენი მისნი მეტყველებენ მარტო გულისაგან – **„ვერ გაიგეთა ქართველნო, შეგესხნათ რკინის კარია, აღარ გყავთ მეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია“**-ო, ასე ამოიკვნესა ერმა...

ეს „რკინის კარობა პატარა კახისა“ ოთხ კედელშუა მოგონილი და ხელად გამომცხვარი ეპითეტი კი არ არის, ეს სიტყვა ერის გულით შობილი და ერის ელდანაცემი გულიდანვე ამოფეთქებულია. „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“ ისე არ გამართლდება ხოლმე, როგორც ამისთანებში“...

დამერწმუნებით, ასეთი საქებ-სადიდებელი სიტყვები ილიასგან იშვიათად თუ ვისმე ღირსებია...

XIX საუკუნის ყველაზე დიდი მემატინე – ჟამთაღმწერელი ილიაა: ის ხომ, რუსული ფსიქიკის და ამ საუკუნის ყველა მოვლენის უბადლო მცოდნე და თვითმხილველია. ეს ყველაფერი კი, მან იდეებად და სამოქმედო თეორია – პროგრამად XX საუკუნის თაობებს გადმოგვცა...

ეპოქა ეპოქას მისდევს, თაობა – თაობას, ერეკლე მეფიდან ქართველობამ 30 თაობა მაინც გამოვიცვალეთ, მაგრამ ყოველთვის კი, ეს მუდმივი კითხვა დგას: **დღეს გზის სანათად ვინ გვყავს ქართველებს?...**

პასუხად ამ 100 და მეტი წლის წინ აკაკიმ თქვა: **„ილიაა ჩვენი მომავლის ლამპარი!“** აკაკისთან ერთად, ვაჟამ მკვლელობის დღესვე, 30 აგვისტოს მთაში ამ „ლამპრის“ შუქზე ქართული პუბლიცისტიკის შედეგრი შექმნა – **„ვერ მოჰკლეს!“**. აქ მან ილია **„ეროვნულ იდეოლოგიად“** გამოაცხადა...

კვებნაში არავინ ჩამოგვართვას – სამშობლოს სიყვარულში ქართველ კაცს მსოფლიოში ბევრი ვერ შეედრება. ამიტომაც ვაჟასი არ იყოს, ქართველ ერს, ეროვნულ იდეოლოგიას და ეროვნულ იდეოლოგს **„ვერ მოჰკლავ“**, მაგრამ მისი დროებითი შეფერხება – შეჩერება, უკუგდება კი შესაძლებელია და ასე გამოვიარეთ XX საუკუნე:

ეს ქართველმა მარქსისტმა – კოსმოპოლიტებმა გააკეთეს. თუმცა ივანე ჯავახიშვილმა საბჭოეთის ჟამსაც შესძლო ეჩვენებინა ილიას ისტორიული მისია მონოგრაფიით – **„ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“**, ეგაა რომ ჯანმრთელობამ საშუალება არ მისცა ბოლომდე მიეყვანა საქმე, საქმე, რომელიც ჩვენ დაგვიტოვა გასაგრძელებლად...

მას შემდეგ, რაც სტალინურ-ბოლშევიკური რეაბილიტაცია მოხდა 1936 წლის 4 სექტემბრის „პრავდის“ საქებ-სადიდებელი სტატიით იქვე „კაკო ყაჩაღის“ რუსული თარგმანით, ილიაზე ზღვა მასალა შეიქმნა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, მაგრამ მათგან არცერთი ჯავახიშვილის ამ დიდ საქმის

გამგრძელებელი: საბჭოთა იდეოლოგიას არ აწყობდა ეროვნული იდეოლოგი, ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიის კვლევა და წარმოჩენა – ილია მწერალი, კი ბატონო, მაგრამ არამც და არამც იდეოლოგი, არც იფიქროთ ამაზე...

არადა, ილიას მემკვიდრეობაში არ არსებობს ეროვნული ცხოვრების არცერთი სფერო, რომელსაც მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია, ამ თეორიის ორ ათეულზე მეტი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპები არ ეხებოდეს. სხვანაირად ხომ იგი ეროვნული იდეოლოგიც ვერ იქნებოდა... მათ გათანამედროვეობა და საქმედ ქცევა სჭირდება ჩვენგან...

„ივერიის“ ყველა ნომერში იკვეთება ეს აზრი. აი, ავიღოთ 1897 წლის 31 დეკემბრის სარედაქციო წერილი – „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“:

„აჰა, კიდევ ერთი ახალი წელი. რა მოვულოცოთ ჩვენ თავს ქართველნო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ?...

ნუთუ ისევ ძველებურად თავი უნდა დაგიკრათ და მოგახსენოთ: შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი!“!... წყალობა ღვთისა კარგია..., მაგრამ თუ ნაწყალობევს არ უპატრონე, რა ქნას ღმერთმა? რაც წყალობა იყო, მოიღო ჩვენზე, დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამო. რა კაცობა გამოვიჩინეთ?...

ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო არ მოიპოვო... ოღონდ თავი და ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულთათქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეუთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილისამებრ“...

მერე ილია ჩვენი ერისა და ქვეყნის გავლილ გზას გვახსენებს, ანუ, „რანი ვიყავით“:

„რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა სისხლის ღვრა, რა ღრქენა კბილთა არ გამოგვიცდია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა... ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესთვის...“

ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა, – რამ შეგვადლებინა, რამ გვიხსნა? რამღა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით – იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი...“

„საერთო ნიადაგია“ ხსნა....

ახლა ილია სამომავლოდ ახალი „ციხე-სიმაგრის და ახალი ფარ-ხმალის“ მიებას გვთხოვს, რომ „შევიწარჩუნოთ მამული, ენა, სარწმუნოება“. მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის არსიც ხომ ესაა:

„ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა, საქოლავი არავის ავაგებინეთ... ახლაც ომია, ხოლო სისხლისღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნალარა, არც რბევა იცის, არც ძარცვა... ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლით ომის ვაჟკაცობაზე. – ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო, იტყვის გლებკაცი, თუ სიმართლეს ათქმევინებთ... თვითონ დღევანდელი დღევ ამას გვეუბნება, ამას ჰღაღადებს და ჩვენ გვესმის კი, ეს ღაღადი?...

არ ვიცით – რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ – რანი ვართ, ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით“...

და აქ ილია ყველა თაობას გვაერთიანებს – ერეკლე მეფემდეც, თვითონ ერეკლეს ეპოქასაც და ამ 300 წლის შემდეგ ჩვენს თაობებსაც. პრობლემის არსიც იმაშია, რამდენად შევძლებთ ჩვენი წარსულის, აწმყოს და მომავლის ჯაჭვის რგოლებივით ერთმანეთზე გადაბმა-გამთლიანებას...

ეს „ავი მუსაიფი“ კი, ჩვენეული გააზრებით, ერეკლე მეფის ეპოქასაც ეხება, მის მომიჯნავეებსაც და თუ გნებავთ, დღევანდელ ჩვენს ეპოქასაც...

განა „ავი მუსაიფი“ არ უნდა გარუსებულ-გადაგვარებულ-გადაჯიშებულ რუს გენერალ ციციანოვს, პირწმინდად რომ გაასახლა ერეკლეს შვილები და შვილიშვილები რუსეთში, კავკასიიდან პირველ ლტოლვილებად და პირველ „მუხაჯირებად“ აქცია ერეკლეს მოდგმა და ეს სალანძღავ-საგინებელი სიტყვებიც მოგვახალა რუსების გულის გასახარად – „მრცხვენია რომ ქართველი ვარ!“:

აბა, წარმოვიდგინოთ – ფარნავაზის, ქუჯის, ფარსმან ქველის, წმინდა ნინოს, მირიანის, ვახტანგ გორგასლის, პეტრე იბერის, გიორგი ათონელი-მთაწმინდელის, ბაგრატ მესამის, დავით აღმაშენებელის, თამარ მეფის, დემეტრე თავდადებულის, გიორგი ბრწყინვალის, ვახტანგ სჯულმდებელის, ლუარსაბ და ქეთევან წამებულების და ათას სხვათა მშობელ ერს ეს მოღალატე – გარეწარი სულში გვაფურთხებს, ნაცვლად სიამაყისა – **შენ სწორედ რომ ქართველი ხარ!** განა „ავი მუსაიფი“ არ უნდა მასაც და მისთანა ფულზე და ჩინ-მედლებზე გაყიდულ კაცუნებსაც, ვისაც ქართველობა სირცხვილად მიაჩნდა, ან, მიაჩნია დღესაც?!...

ანდა, „ავი მუსაიფი“ არ უნდა ქართველ პატრიოტთა შეთქმულების გამცემს იასე ფალავანდიშვილს?!... ანდა, ილიას მკვლელებს – „უცხო ბაძის მონებს“?!... ანდა, საქართველოს ხელახალ დამპყრობთ – სტალინს, ორჯონიკიძეს, მახარაძეს და ყველა სხვა ბოლშევიკებს?!... ანდა, დღეს მოსკოვში მოკალათებულ, თუ აქ, ჩვენთან ჩასაფრებულ ახალ „მეხუთე კოლონას“?!... ანდა, კიდევ ბევრი „ანდა“ იმათ, ვისაც გულზე არ ეხატება ქართული სიტყვა და ქართული საქმე ადრეც და ახლაც...

გავიხსენოთ ესეც, რა „ავი მუსაიფი“ გაუბა ილიამ „ივერიაში“ სტატიათა ამავე ციკლში ქალაქის გამგეობას, თუმანოვს და მის „ამქარს“ ერეკლეს ხსოვნის

აღნიშვნა რომ არ იწებეს, პარაკლისზეც კი არ მივიდნენ არც სიონში და არც სვეტიცხოველში, თავიანთ გაზეთში ერეკლე მეფეს ისიც კი აკადრეს, რომ – რის მეფე, რა მეფე, თურმე ის კი არ მეფობდა თბილისში, არამედ აქ „მთავარი პირი მელიქი იყო“?!...

არავის შეარჩენდა ეროვნული ღირსების შელახვას, სანამ ბოლოს წინამურთან ბერდენკის ტყვიით არ გააჩუმეს ისიც და მისი „ავი მუსაიფიც“. მერე კი, იგივე მკვლელებმა „ქართველი ხალხის უბოროტეს მტრად“ გამოაცხადეს...

„ავი მუსაიფი“ კი არა, მოკვეთა და ამოძირკვა უნდათ ერიდან და მისი ისტორიიდან, რამეთუ – ილიას მტრები ერისა და ჩვენი მომავლის მტრები არიან...

„კრწანისზე მწარე წიწამურია“...

უთუოდ, ასეთმა ხედვამ და პოეტურმა გააზრებამ შვა ოთარ ჭილაძისეული ეს მხატვრული მეტაფორა: დიახ, ჩვენს უახლეს ისტორიაში ორი დიდი ტრაგედია შეგვემოხვა ქართველებს ერთმანეთზე უარესი, რომლებმაც ბევრწილად განსაზღვრეს „ქართლის ბედი“. დიახ, ჩვენმა და სხვათა ისტორიამ იცის ბევრი ისეთი ფაქტი და მოვლენა, ერისა და ქვეყნის მომავალს რომ განსაზღვრავს წინასწარ საუკუნეებით...

ერის ინტელექტუალური ძალების ვალიც ისაა, მისი დიდი ისტორიული მისია, რომ ყოველივე ამის გააზრება – გათავისებით სწორი გზა-კვალი მისცეს ისტორიის შემდგომ მსვლელობას სწორი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებით. ილიამ და მისმა „პირველმა დასმა“ ეს მისია შესანიშნავად შეასრულეს – ერს და მის მწარმოებელ ძალებს სამომავლო არსებობა – განვითარების ის გზა მისცეს, რომელიც კრწანისის ტრაგედიის ალტერნატივაა მომავალი საუკუნეებისთვის...

ახალი „ქართლის ბედი“ – ასეც შეიძლება ითქვას ამაზე: ერს, მის არსებობა–განვითარებას ორი ძალა წარმართავს მუდამ – ინტელექტუალური და მწარმოებელი და თუ ერთ-ერთმა თავისი წილი უღელი არ გასწია, ერის მომავალიც ეჭვის ქვეშ დადგება. ასე იყო ოდითგან და ასე იქნება მარად, სანამ ილიასი არ იყოს, „ჩვენ ერს ერობა უწერია კიდევ“...

„ისტორია ჩვენი დიდი მასწავლებელია“...

ივანე ჯავახიშვილს „ქართველი ერის ისტორიის“ თორმეტტომეულში საამისოდ არაერთი პარალელი მოჰყავს ქართველი ერის და საქართველოს ხანგრძლივი ისტორიული განვითარებიდან. დღევანდელ ჩვენს ვითარებასთან

განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს VII – VIII საუკუნეების ე.წ. „უმეფობის ხანა“, როცა შეწყდა ფარნავაზიან-გორგასლიანთა სამეფო დინასტია და უპატრონო ეკლესიისა არ იყოს, უცხოელები დაეპატრონენ ქვეყანას...

ძველი ჩვენი ჟამთაღმწერლები საოცარ ტრაგიკულ სურათს ხატავენ ამ „უმეფობის ხანიდან“, მათთან ერთად აგიოგრაფიული მწერლებიც. იაკობ ხუცესის „წამებაი წმინდისა შუშანიკისა“, ისე როგორც იოანე საბანიძის „აბო თბილელის წამება“ ბევრ საგულისხმო პარალელს გვაძლევენ, თავისებურად რომ ეხმიანებიან ერეკლე მეფის ეპოქას. მხოლოდ 888 წელს ბაგრატიონთა აღზევებამ მოუღო ბოლო უცხოელთა პარპაშს მაშინ...

კაცისა არ იყოს, ერისა და ქვეყნის ცხოვრებაშიც ბევრი რამ მეორდება სხვადასხვა ფორმით და ღვთის მადლით, ამ დინასტიამ შეძლო ფარნავაზიან-გორგასლიანთა ხაზის გაგრძელება-განვითარება და ჯერ ბაგრატ მესამემ, მერე კი, დავით აღმაშენებელმა შეძლეს ქვეყნის გაერთიანება და ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნა...

ჩვენი ისტორიის ამ დიდმნიშვნელოვან პროცესსაც თავისი იდეოლოგიები ჰყავდა, რამეთუ ყველგან და ყოველთვის „პირველ არს სიტყვა“. ივანე ჯავახიშვილი ამ მხრივ განსაკუთრებით გამოყოფს ჩვენს განთქმულ „ათონურ სკოლას“ და მის საუკეთესო წარმომადგენელს გიორგი ათონელ-მთაწმინდელს...

ყველაფერმა ამან ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის სახე მიიღო „რუის-ურბნისის საეკლესიო კრების“ გადაწყვეტილებებში. მის მიერ მიღებული „ძეგლის წერა“ და აქ გადმოცემული 17 პრინციპი დაედო საფუძვლად დავით აღმაშენებლის იმ რეფორმებს, რომლებმაც სათავე დაუდეს ახალი ტიპის ქართულ სახელმწიფოებრიობას. ამიტომ წერს ჯავახიშვილიც:

„რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ უარჰყო გვარიშვილობის მნიშვნელობა ეკლესიის მსახურთათვის, ხოლო პირადს ღირსებას უპირატესობა მიანიჭა... ამ გადაწყვეტილებას მართო საეკლესიო ცხოვრებაში არ ჰქონია მნიშვნელობა, არამედ იმ აზრის განმტკიცებას მოუმზადა ნიადაგი, რომ სახელმწიფო და სამოხელეო წეს-წყობილებაში პირად ღირსებას გვარიშვილობაზე მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს“ (ხაზგასმა ჯავახიშვილისა).

ისე, რომ XI – XII საუკუნეების ძლიერი ქართული სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველი საერთო პოლიტიკური და იდეოლოგიური საწყისების კომპლექსური გააზრება და პრაქტიკული განხორციელება გახდა. სწორედ ეს არის ჩვენი ისტორიის ყველაზე დიდი ჭკუისსასწავლებელი მაგალითი ჩვენთვის...

ერეკლე მეფე – „დიდბუნებოვანი კაცი“

ილია, დავით აღმაშენებელს რომ ახასიათებს, წერს – იგი ჩვენგან სადიდებელია არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ დიდბუნებოვან კაცობითაცო. ზუსტად ასევე ახასიათებს ერეკლე მეფესაც.

„ვერ იდავითა პატარა კახმა...“ წერს პოეტი და ვერც იდავითებდა, რამეთუ სხვა შეხვდა ეპოქა, სხვა შეხვდა მტერი, მოყვრად მოსული ყველა ბოროტების და ვერაგობის ჩამდენი და მკადრებელი...

ეს ჩვენი სიტყვაც – „კაცი“ ილიასთვის პიროვნების სრულყოფილობის განსახიერებაა, ლამის უნაკლო პიროვნება, „ზეკაცი“...

ამიტომ წერს სტატიაში – „ზოგიერთი რამ“, გულისტკივილით: ქართველების საქმე მაშინ წახდა, როცა „კაცმა“ „კაცურის“ დამატებაც მოითხოვაო – მართლაცდა, „კაცს“ რაღა დამატება უნდა?!...

„დიდბუნებოვანნი“ და „მდაბალბუნებოვანნი“, ეს მისთვის პიროვნების დახასიათების მთავარი საზომი და კრიტერიუმია მუდამ. გავიხსენოთ თუნდაც მისი ნოველა კითხვა – ძახილის ნიშნით – „კაცია-ადამიანი?!“, იქ ხომ „მდაბალბუნებოვანთა“ მთელი არმიაა ლუარსაბისა და დარეჯანის თამადაობით, – ავტორის გააზრებით, იქ „კაცი“ არავინაა. ამიტომ ილიასთვის ადამიანი ჯერ კაცი უნდა იყოს და მერე რაც გინდა სხვა, მეფე, თავადი, მღვდელი თუ გლეხი...

დიახ, ისტორიულადაც „კაცი“ ქართველის სავიზიტო ბარათია ნებისმიერ ეპოქაში. ჩვენი ორი ძველი საამაყო ძეგლიც – „ქართლის ცხოვრება“ და „ვეფხისტყაოსანი“ ბევრ მაგალითს გვაძლევენ ამისას. აკი, ამ ბოლო იმპერიაშიც „კაცო“ ქართველის სინონიმი გახდა და სუსლოვის ეს რუსული კალამბურიც სტალინისა და ბერიას შემდეგ – ჩტობ „კაცო“ ბოლშე ნე ბილო ზდეს, ხაზს უსვავს ამას. სეპარატიზმსაც ჩვენი ერის ამ სიძულვილის იდეოლოგიით აღვივებდნენ და აღვივებენ დღესაც ხრუმჩოვისა და სუსლოვის მსგავსი ქართველოგობები...

„მეფეს“ რომ იტყვის კაცი, თვალწინ ყველაფრით უზრუნველყოფილი, ბედის ნებიერი ადამიანი წარმოგვიდგება, მაგრამ ერეკლე მეფეს ერთი დღეც არ უცხოვრია ასე: იგი ხომ იმ ოთახში გარდაიცვალა, სადაც დაიბადა: ხალხის ცხოვრებით ცხოვრობდა, მისი ჭირით და ლხინით. თავის ყველაზე საყვარელ შვილს დღეობა ერთი კალათა ბროწეულით რომ მიულოცა, ზედ ბოდის ბარათიც დაატანა – მაპატიე თეკლე, მეტი არაფერი მაქვსო...

არქივში ბევრი მისი გარჩეული სადაო საქმე დევს და მათგან ბევრში დავა თავადის კი არა, გლეხის სასარგებლოდ აქვს გადაწყვეტილი. არაერთი გლეხის შვილიც ჰყავს მონათლული. ქართული სახელმწიფოს ეს ტრადიციული სოციალური პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და შეგნება მასში დიდი დოზით იყო წარმოდგენილი. ამიტომ წერს ჯავახიშვილიც სიამაყით – ბაგრატიონები ყველაზე დემოკრატიული დინასტიაა მსოფლიოშიო...

მახსოვს, როდესაც „თსუ ილიალოგთა კლუბში“ ილიას „დიდბუნოვანი კაცის“ ამ გააზრება-ფენომენს ვიხილავდით, ერთხმად ყველამ ერეკლე მეფეს ამ მხრივაც „პირველკაცობის“ ტიტული მივანიჭეთ „ახალი ქართლის ცხოვრებაში“ და ესეც ვთქვით – ჩვენს ქვეყანასაც მაშინ ეშველება და ეს ჩვენი „გარდამავალი პერიოდიც“ კეთილად მაშინ დამთავრდება, როცა მისი მსგავსი „დიდბუნოვანი კაცი“ გვეღირსება ამ ჩვენს „უახლეს ქართლის ცხოვრებაშიც“...

ეს იდეა აქვს გაჟღერებული ე.წ. „ხუთი კაცის“ თეორიით მას (აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“), რითაც ქართველებს გვეუბნება: ამ „ხუთი კაციდან“ – „ერისკაციდან“, ვიდრე „ოჯახისკაცამდე“, არავინაა დასაკარგი – ამით მოვდივართ დასაბამიდან და ამით უნდა ვიაროთ ვინ იცის, კიდევ რამდენი ათასი წელი...

ერეკლე მეფის „დიდბუნოვანობის“ ერთი საინტერესო ფაქტიც, ნოველის, ან ფილმის თემად რომ გამოდგება: პოტიომკინმა ერეკლეს „რუსეთის რწმუნებულის“ სახით იაკობ რაინეგსი გაუგზავნა მოსაწამლად, იცოდა – ერეკლე სანამ ცოცხალი იყო, წადილს თავისუფლად ვერ აისრულებდა. ეს გერმანელი კაცი ერეკლე მეფემ დიდი პატივით მიიღო, ალექსანდრე ბატონიშვილი დაუნიშნა მასპინძლად და ადიუტანტად, მთელი ქვეყანა მოატარეს, მალე ქართულიც ისწავლა ასეთი საოცარი სტუმარ-მასპინძლობით გარემოცულმა და დავალების შესრულებაზე არც უფიქრია, ისე მოიხიბლა ერეკლე მეფის ამ „დიდბუნოვანებით“. ბოლოს იგი ასტრახანში გამოიძახეს ვითომდაც, ეკატერინე II ახალი დავალების გადასაცემად და... ასტრახანი-პეტერბურგის გზაზე უკვალოდ გაქრა – ცხადია, დავალების შეუსრულებლობა არ აპატიეს...

ძველი, ახალი და უახლესი „ქართლის ცხოვრება“...

ერეკლე მეფის დაბადების 300 წლისთავზე ქართველ ერს ბევრი აქვს გასახსენებელი, ავიც და კარგიც. ილიასთან ერთად, ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ თორმეტტომეული ზღვა მასალას გვამღევს ერეკლე მეფის და მისი ეპოქის გააზრება-ანალიზისთვის. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ეს ორი ჩვენი დიდი ერისკაცი ერთმანეთს ავსებენ, თითქოს წინასწარ ყოფილიყვნენ მოლაპარაკებულნი: ილია თეორიულ ასპექტში განიხილავს, როგორც თვითონვე უყვარდა თქმა, „საქართველოს ისტორიის ფილოსოფიას“, ხოლო ჯავახიშვილი ემპირიული მასალით ამტკიცებს და ამაგრებს მას, პირველ რიგში კი, ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიას...

ასევე დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია „ქართლის ცხოვრებასაც“, ჩვენგან დღეს ასე მივიწყებულს. არადა, ბევრი ერი როდი დაიკვებებს ათასეული წლების ამსახველ ასეთ ისტორიულ წყაროს...

„ქართული ბიბლია“ – ასე შეიძლება ვუწოდოთ მას. 800-წლიანმა „ძნელბედობამ“ თავისი კვალი დააჩნია მასაც – ის ხომ, ლამის მთლიანად დავკარგეთ.

შეიძლება ბევრს უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ ვფიქრობ, უსაგნოდ და უაზროდ არა: დღევანდელ ქართველებს ორი დიდი სიმდიდრე შემოგვრჩა – „ქართლის ცხოვრება“ და „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ წამიერად რომ ასეთი რამ დავუშვათ და გვითხრან – ამ ორი სიმდიდრიდან ერთ-ერთზე ხელი უნდა აიღოთო, ისევე ამ ბოლოს უნდა შეველიოთ...

ახსნა ამისა ძნელი არაა: „ქართლის ცხოვრება“ დრო-ჟამით გაცილებით ძველია, ვთქვათ, სუმბათ დავითის-ძის თხზულება ქართველი ერის ბიბლიური წარმოშობის შესახებ – „ცხოვრება და უწყება ბაგრატთან“ ხომ, X–XI საუკუნეებისა. ივანე ჯავახიშვილი მას ყველაზე სანდო ისტორიულ წყაროდ თვლის, თუმცა ზღაპრულიც ბევრი შეიძლება მოგვეჩვენოს იქ, მაგრამ ამ „ზღაპრულობის“ მოყვარულებს, მე ერთ ფართოდ გახმაურებულ ფაქტს შევახსენებ:

როდესაც შლიმანმა ანტიკური ეპოქის წყაროებზე დაყრდნობით „ტროას გათხრები“ დაიწყო, ყველას გიჟი ეგონა – „ტროას ბრძოლები“ და მისი მითიური გმირები ხომ, ზღაპარიანო, მაგრამ მოგეხსენებათ, რა ფანტასტიკური შედეგები ახლდა და ახლავს დღესაც ტროას არქეოლოგიურ გათხრებს...

„ქართლის ცხოვრებაშიც“ მისი მრავალრიცხოვანი ავტორები ერთი შეხედვით დაუჯერებელ საზღაპრო ამბებს გვიყვებიან ქრისტიანულ, თუ ქრისტიანულ ხანაში, მაგრამ მათ ჩვენგან სერიოზული კვლევა-ძიება სჭირდება და არა ხელაღებით უარყოფა. ამის მაგალითს კი, ივანე ჯავახიშვილი გვაძლევს – ასეთ მეცნიერულ კვლევას ხომ მან მთელი ცხოვრება მიუძღვნა...

დარწმუნებული ვარ, რომ თუკი ჩვენს თაობებშიც ასეთ ინტერესს გავაღვიძებთ, ეს მხოლოდ პოზიტიურ შედეგებს მოგვცემს მათი დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. საამისოდ საჭიროა ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას „ქართლის ცხოვრებიდან“ პატარა-პატარა ამონაკრებები მივაწოდოთ მათი ასაკის გათვალისწინებით, ეს უთუოდ გაზრდის ჩვენი და მსოფლიო ისტორიისადმი მათ ინტერესს. ინტერესი კი, მოგეხსენებათ, მთავარი მოტივი და ფაქტორია ცნობიერებისა და ჭეშმარიტების ძიების გაღვიძებაში...

აი, ავიღოთ თუნდაც თბილისისა და მასთან ერთად, მთელი საქართველოს ეს დეფინიცია – „ხევების ქვეყნები“ – განა ამან არ უნდა გააღვიძოს ინტერესი მისი გააზრებისა და კვლევა-ძიებისთვის ჩვენში?!... ხევები ხომ, ათასობით არის ამერ-იმერით?! ეს „ხევების ქვეყნები“ კი, დღეს ნელ-ნელა გვეკარგება...

პარადოქსებს რა გამოლევს და ესეც ჩვენი ისტორიის პარადოქსია – გაგონილა, საუკუნეებიდან მომდინარე ასეთი დიდი სიმდიდრე გქონდეს და

მითი მთელ მსოფლიოში არ ამაცობდე?!... ამ მხრივ აი, მოვუსმინოთ ივანე ჯავახიშვილს მისი ნაშრომიდან – „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“:

„სამწუხაროა, რომ ჩვენში სრულებით შეგნებული არა აქვთ, თუ... „ქართლის ცხოვრება“ რაოდენი ძვირფასი მარგალიტი და მშვენიერია ჩვენთვის. აქამდე შეუმჩნეველი რჩებოდა ისეთი ძეგლებიც კი, როგორებიც დავით აღმაშენებელისა და თამარ მეფის ისტორიკოსთა თხზულებებია“.

ესეც ხომ პარადოქსია – ბევრს ჰგონია „აღმაშენებელი“ დავით IV მაშინვე უწოდეს, არადა ეს წოდება მან ხომ, 400 წლის შემდეგ მიიღო...

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ივანე ჯავახიშვილმა გამოსცა წიგნი – „ახალი ქართლის ცხოვრება“, რომლის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ:

„ცნობილია, რომ ძველი „ქართლის ცხოვრება“ გიორგი ბრწყინვალის ამბებით თავდებოდა... და ამის აქეთი ხანის საქართველოს პოლიტიკური თავგადასავალის აღწერილობა აღარ მოიპოვებოდა...“

ცხადია, თუ რამდენად საზიანო უნდა ყოფილიყო ეს გარემოება ქართველთა ეროვნული თვითშემეცნების და პოლიტიკური შეგნების გაღრმავება-განვითარებისთვის...

ამ დიდი ნაკლის შევსების თაოსნობა ვახტანგ VI-მ იკისრა და... ქართული საისტორიო მწერლობის ოთხსაუკუნოვანი ხარვეზის ამოვსებისათვის მუშაობას შეუდგა“...

ჩვენით ხომ არ იწყება ქართველი ერი – ძველმა თავისი მისია შეასრულა, ახლა ახალზე და უახლესზეა ჯერი. ეს მისია კი ძველმა ბრწყინვალედ შეასრულა 1104 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრებასთან ერთად, ერი და ბერი გაერთიანდა დიდი სამომავლო მიზნის ირგვლივ. ამიტომ წერს ივანე ჯავახიშვილიც: „ქართველი ერი მარად მაღლიერი უნდა იყოს გიორგი ათონელი-მთაწმინდელის. რაც მან საეკლესიო სფეროში გააკეთა, ის მერე დავით აღმაშენებელმა საეროში მთელი ქვეყნის მასშტაბით განახორციელა“...

„აღლესა მახვილი მხილებისაი“...

„აღლესა მახვილი მხილებისაი“ – ასე მოგვითხრობს ჟამთაღმწერელი, როცა გიორგი ათონელი არ მოერიდა გიორგი II-ს და ამხილა სამეფო კარზე გაბატონებული უსაქმურობა და კორუფცია, ეკლესია-მონასტრებში დანიშნენები ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც ფულის გარეშე არ ხდებოდა. სწორედ ამ მხილებამ გაუხსნა გზა დავით აღმაშენებელს სამეფო ტახტისკენ...

„ქართლის ცხოვრება“ სხვა ბევრ მანიშნებელს გვაძლევს სამომავლოდ, თუ რა თქმა უნდა, მათ გამოვიყენებთ და საქმედ ვაქცევთ. აი, რას გვეუბნება ჯავახიშვილის მიერ გამოცემული „ახალი ქართლის ცხოვრება“ (თბ. 1940, გვ. 152), როცა მოგვიწოდებს – „**ნუ წავახდენთ საქართველოსა**“, ანდა, ეს მეტად სიმბოლური თეზა-ფორმულაც გიორგი ბრწყინვალის ისტორიკოსისა: „**ისტორია ჭეშმარიტის მეტყუელება არს**“, ანდა, ეს სიმბოლიკაც – „**ახლად შენება საქართველოს**“, ყოველი ნგრევისა და „ქვეყნის მოხრების“ შემდეგ, ეს „ახლად შენების ჟამი“ დგებოდა...

დღესაც „ახლად შენების ჟამი“ გვიდგა ქართველებს და ამ შენების „ბალავრის ქვა წარსულშია საძიებელი“. ამას უსვავდა ხაზს ილიაც პირველსავე საპროგრამო წერილში – „**საქართველოს მოამბეზედ**“ – ახალ საქართველოს მხოლოდ „**ძველიდგან აღმოვშობავთ მკვიდრად**“...

რატომ უღალატა ჯავახიშვილმა ისტორიას?....

მაშ ასე – ძველი „ქართლის ცხოვრება“ ვახტანგ „სჯულმდებელის“ და მისი „სწავლულ კაცთა დასის“ წყალობით გაგრძელდა „ახლით“, მაგრამ ეს ახალი „ქართლის ცხოვრება“ ხომ ერეკლე მეორით და „გეორგევსკის ტრაქტატით“ მთავრდება?!. ამის აქეთ ისტორიას რატომ შემოსწყრა „საქართველოს ისტორიის მამა“, რაშია საქმე – მისი „ქართველი ერის ისტორია“ XIX–XX საუკუნეების ისტორიაზე რატომ დუმს, რატომ არაფერს ამბობს მასზე? რა დაუშავათ?...

ამის პასუხს 1919 წლის მისი ნაშრომი – „**დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში**“ იძლევა: აქ ხომ თვითონ რუსული წყაროებით ნაჩვენებია რუსეთის არნახული ბოროტება და ვერაგული პოლიტიკა – მოესპო ძირ-ფესვიანად ქართული სახელმწიფოებრიობა და ბაგრატიონთა სამეფო დინასტია, რაც აქამდე არცერთ იმპერიას არ გაუკეთებია არც ქრისტემდე და არც ქრისტეს შემდეგ. „გეორგევსკის ტრაქტატის“ ჯავახიშვილისეული ანალიზის არსიც ესაა და დასკვნაც შესაბამისი:

„...1800 წლის 18 დეკემბერს იმპერატორმა ხელი მოაწერა მანიფესტს საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ და გიორგი მეფეს წინდაწინვე გამზადებული ქაღალდი გაუგზავნეს ხელმოსაწერად, რომლითაც ვითომ გიორგი მეფე თვითონვე სთხოვდა, რომ საქართველო შეერთებინათ რუსეთისთვის მის განუყოფელ ნაწილად“... მაგრამ მთელი ეს გეგმა ჩაიშალა – 22 დეკემბერს გიორგი მეფე გარდაიცვალა ისე, რომ ეს ხელმოსაწერი ქაღალდი თვალისათვის არ უნახავს...

... ასეთი შესაძლებლობა წინდაწინვე გათვალისწინებული ჰქონდათ და ჯერ კიდევ 15 ნოემბერს გენერალ კნორინგს ნაბრძანები ჰქონდა, რომ „**ლოგინად**

ჩავარდნილი გიორგი მეფის გარდაცვალების შემთხვევაში, სამეფო ტახტზე ასვლის უფლება არავისთვის მიეცა“...

რუსეთი რის რუსეთია, რომ მარტო სიტყვით იმოქმედოს – ერთდროულად ჩრდილოეთ კავკასიიდან სასწრაფო წესით შემოყვანილი იქნა 5 ბატალიონი და ზარბაზნები, ის კი დაავიწყდათ, როგორ ეხვეწებოდა ერეკლე მეფე 5 წლის წინ ალა-მაჰმად ხანთან ბრძოლის წინ დასახმარებლად, თანახმად გეორგევსკის ტრაქტატისა – შესაშური გულმავიწყობა?!...

ბატალიონებიც და ზარბაზნებიც თბილისთან განალაგეს და 1801 წლის 18 იანვარს გამოქვეყნდა პავლე I ახალი მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ... „მანიფესტს“ ჯერ საიდუმლოდ ინახავდნენ – ზვერავდნენ რა ვითარება იყო საქართველო-კავკასიაშიც და ევროპაშიც, იქ ხომ ნაპოლეონის მსოფლიო ჰეგემონობის დიდი იდეები და სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგია სულ უფრო ნათლად იკვეთებოდა და რუსეთიც მზად იყო აქტიურად ჩართულიყო ამ პროცესებში...

ისტორიასაც უყვარს იუმორი (და სამართალიც!) და სულ მალე „მანიფესტის“ ხელმოწერიდან, 12 მარტს პავლე I მოკლეს შეთქმულებმა (მათში ქართველი გენერალი იაშვილიც მონაწილეობდა) და ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I ახლა უკვე მესამედ „გაგვაბედნიერა“, ოღონდ ახლა ზარბაზნები სიონთან შეკრებილ ხალხს დაუმიზნეს პირდაპირ და არაორაზროვნად – „მანიფესტის“ წაკითხვის შემდეგ, იქ შეკრებილ ხალხს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე უნდა დაეფიცათ... ესეც თქვენი ე.წ. „**ნებაყოფლობითი შეერთება“?!...**

ძალა აღმართოს ხნავს, მაგრამ მაინც აღმოჩნდნენ ბევრნი, რომლებიც არ შეუშინდნენ ზარბაზნებს და კნორინგს ერეკლე მეფესთან დადებული ხელშეკრულების პირობები შეახსენეს – რუსეთის იმპერატორი ხომ, „საზეიმო აღთქმას დებდა“, რომ ისიც და მისი მემკვიდრეებიც ერეკლე მეფის და მისი მემკვიდრე ბაგრატიონების სამეფო უფლებებს პატივს სცემდნენ „სამარადჟამოდ“...

თუ რა ფასი ჰქონდა ამ „აღთქმას“ სიონთან ერთად, არაერთხელ ვნახეთ და გამოვცადეთ დღემდე ამ 200 და მეტი წლის მანძილზე... ასე, ამრიგად, სამჯერ გაბედნიერებულემა „ნებაყოფლობით“, ჩვენივე ხელით „ფიცის ქვეშ“ ჩვენ თვითონ მოვსპეთ ჩვენი სახელმწიფო და „სამარადჟამოდ“ შევურთდით „ერთმორწმუნე ერს და ქვეყანას“, რომელმაც მალევე ძირშივე მოსპო „ქართული წეს-წყობა“ და ყველაფერი თავის წეს-წყობაზე გადაიყვანა საერო და საეკლესიო ცხოვრებაშიც.

აქვე ბ-ნი ივანე ხაზს უსვავს, რომ რუსეთის ეს ვერაგული პოლიტიკა XVI – XVII საუკუნეებიდანვე იღებს სათავეს: გაოცებულნი იყვნენ თეიმურაზ I ელჩები – ჩვენ ლეკების თავდასხმების აღკვეთას ვთხოვთ და პირიქით კი ხდება – მათი

თავდასხმები კი უფრო და უფრო გახშირდა! „ერთმორწმუნე რუსეთის“ ეს ცბიერობა მონღოლებსაც კი შეშურდებოდათ...

აზრი და არსი ამ პოლიტიკისა ცხადზე ცხადია – ქვეყნის ისე დასუსტება, რომ მერე ადვილი ლუკმა გახდეს შენთვის. სწორედ ასედაც მოხდა შემდეგ. ამიტომ წერდა ენგელსიც, რომ – **„რუსეთი მფლობელია უზარმაზარი ნაქურდალი საკუთრებისა, რომლის უკან დაბრუნება მოუწევს მას განკითხვის ჟამს“**. ივანე ჯავახიშვილის ეს ნაშრომიც დასტურია ამისა...

ბ-ნ ივანეს ამ ნაშრომთან დაკავშირებით, ერთი თავისებური იუმორიც: ამ რამდენიმე წლის წინ დღევანდელმა „მერუსეთებმა“ დამირეკეს და შემომთავაზეს – „ერეკლეს საზოგადოებას“ ვქმნით და დამფუძნებლობაზე ხომ არ დათანხმდებითო. მე იქით შევთავაზე – წაეკითხათ ივანე ჯავახიშვილის ეს ნაშრომი. ამის შემდეგ აღარ დაურეკიათ...

1919 წლის ივანე ჯავახიშვილის ასეთი ანალიზი არ მოეწონათ არცერთ ხელისუფლებას, თითქოს მისი ბრალი იყო, რომ ასე ვერაგულად იქცეოდა რუსეთი საქართველოს ხელში ჩასაგდებად და აუკრძალეს ამ თემაზე შემდგომი კვლევა-ძიება ერთი მარტივი, მაგრამ „რკინის ლოგიკით“ – კიროვს ეწყინება და მისი ეს ერეკლესეული „ავი მუსაიფიც“ შეწყდა...

აი, რატომ ვერ ვნახულობთ ბ-ნ ივანეს „ქართველი ერის ისტორიაში“ XIX-XX საუკუნეებს: ტყუილს ვერ აკადრებდა ვერც თავის თავს და ვერც ერს და ქვეყანას, რამეთუ კარგად იცოდა გიორგი ბრწინვალის ჟამთაღმწერელის ეს ცნება და შეგონება – **„ისტორია ჭეშმარიტის მეტყუელება არს“**. ტყუილი კი, კაცსაც რყვნის და ერსაც...

მან კი იცოდა, მაგრამ საბჭოთა ისტორიოგრაფიამ არა: – მან ხომ, გეორგევსკის ტრაქტატი და რუსეთთან საქართველოს „ნებაყოფილობითი შეერთება“ ღვთის კურთხევად გამოაცხადა. დღესაც კი, ეს „ნებაყოფილობის მითი“ მკვიდრად არის დაკანონებული, ... ჯავახიშვილისეული „დაპყრობის“ თქმას ჩვენთან ჯერჯერობით მაინცდამაინც დიდი გასავალი არა აქვს...

„ძნელბედობა“

ისტორიული და პოლიტოლოგიური გააზრებით

ოდითგანვე შემჩნეულია – ბედისწერა თან სდევს ისტორიას. ჯერ კიდევ ჰეროდოტემ დააფიქსირა ეს. ჩვენი ერის ისტორიაც გამონაკლისი არაა. „ქართველი ერის ისტორიაში“ ივანე ჯავახიშვილი ამ მხრივაც არაერთ საგულისხმო ფაქტზე მიგვანიშნებს...

„ქართველი ერის დიდი გამოცდა“ – ასე უწოდებს მათ ივანე ჯავახიშვილი და ასევე დიდი გამოცდა გველის ახლაც. ეს აზრი აქვს გატარებული ბ-ნ ივანეს „ახალი ქართლის ცხოვრების“ წინასიტყვაობაში, როდესაც გეორგევსკის ტრაქტატს ანალიზებს და მასთან ერთად, გარნისიდან გავლილი „ძნელბედობის გზას“...

აკი, გენიოსურად წერს რუსთაველიც პოემის ბოლოსწინა სტროფში – „**რასა ვინ ეძებთ, რას აქნევთ? ბედია მაყივნებელი, ვის არ შეუცვლის, კარგია, ორისაც იყოს მხლებელი**“. ე.ი. კაცის და ერის ბედი „კარგია“ მაშინ, როცა მას ღვთის ძალა და ნებაც დაერთვის თან...

ეს რუსთაველური „ბედი მაყივნებელი“ თან სდევს მუდამ ცალკე კაცსაც და მთელ ერსაც. მთავარია ჩვენ თვითონ ვიყოთ იმ სიმაღლეზე და რაც ყველაზე მთავარია, იმ ზნეობაზე, რომ „გვესმას ხმა ღვთისა“ – არ დავშორდეთ მას, თორემ სასჯელიც არ დააგვიანებს. ისტორია ამის მაგალითებსაც გვაძლევს ბევრს...

დიდგორიდან გავიდა 100 წელი და დადგა გარნისი – მზის ამოსვლას მზის ჩასვლა მოჰყვა: XIII საუკუნიდან მოგვდევს „ძნელბედობის“ ხანა, აქა-იქ თუ გამობრწყინდებოდა ნათელი ამ თითქმის 800 წლიან სისხლიან-ცრემლიან ხანაში...

ილია მისეზური ლაკონიზმით და აზრის სიღრმით ხატავს ამ ხანას სტატიაში – „ოსმალის საქართველო“:

„ეგრეთ, – მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავითმოსილმა საქართველოს შავმა ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები ერთად სისხლისმღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი. დიდმა ღვაწლმა ბაგრატ მესამისამ, დავით აღმაშენებლისამ, თამარ დედოფლისამ უქმად ჩაუარა ამოდენად ტანჯულს, ბედისაგან დევნილს, ერთობისა და ქრისტიანობისთვის სისხლდანთხეულსა საქართველოსა“.

„ძნელბედობა“ ყველა ერსა და ქვეყანას ჰქონია, მაგრამ ასეთი ხანგრძლივი და მტანჯველი იშვიათად. ბევრი ერი გადაჰყოლია კიდევ მას – დაუკარგავს „**მამული, ენა, სარწმუნოება**“, ჩვენ მადლობა ღმერთს, არა, ამ მხრივ საღ-სალამათად მოვედით დღემდე და ღვთის მადლით, ახალი იმედებით შევცქერით ამ ახალ საუკუნეს და ახალ ათასწლეულს...

შუა საუკუნეებს რომ ახასიათებს ივანე ჯავახიშვილი წერს:

„საქართველოს და ქართველი ერის ცხოვრებაში ეროვნული თვალსაზრისით უაღრესი გაჭირვებისა და განსაცდელის ხანად XVII საუკუნე უნდა ჩაითვალოს... ქართველი ერი გამაჰმადიანება – გადაშენების გზაზე დადგა, საბედნიეროდ ამ საშინელ გაჭირვებაში ქართველმა ერმა მთელი თავისი ენერგია და შემოქმედებითი ნიჭი მოიკრიფა და გამანადგურებელ მიმართულებას წინ აღუდგა...“

ქართული ენა... უცხოური სპარსულ-თურქულისაგან რომ დაეცვათ, გიორგი XI წინადადებით დიდი ქართული ლექსიკონის შედგენას მიჰყვეს ხელი. ამგვარი შრომა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა და მოღვაწემ **სულხან-საბა ორბელიანმა** განახორციელა, რომელსაც მან 30 წელიწადი მოანდომა. ეს შესანიშნავი ნაშრომი ეხლაც ძვირფას განმად ითვლება მეცნიერებისათვის, მაშინ ხომ, იგი ცის მანანად უნდა მოვლენოდა ქართველობას, რომ უცხო ენის ზეგავლენით ქართული ენის ბუნება და კანონები არ შეზღუდულიყო“.

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“, კარგად ჰქონდათ გააზრებული, ისიც ახსოვდათ, როგორ შეამკო და რა უწინასწარმეტყველა ქართულ ენას იოანე-ზოსიმემ, რუსთაველის ენამაც ყველამ იცის რა შედეგრი შექმნა... რუსთაველი გამონაკლისი არ იყო – **შავთელი, თმოგველი, ხონელი, ჩახრუხაძე, გიორგი და სხვა უამრავი ათონელი – მთაწმინდელები, ოპიზარები...** მაგრამ **„ნაადრევ ქართულ რენესანსს“**, განსხვავებით ევროპულისგან, გაგრძელება – განვითარება – სრულყოფა სამწუხაროდ, აღარ ედირსა...

ამიტომ წერს ჯავახიშვილიც თავისებური გულისტკივილით: **„დასავლეთისაგან განსხვავებით, აღმოსავლეთი მით იყო უბედური, რომ აქ მომთაბარე ტომების ამაოხრებელი თავდასხმები ძალიან ხშირი იყო“...** ამ თავდასხმებსაც რომ თავი გავანებოთ, ჩვენმა ერმა სულ მცირე ცხრა იმპერია მაინც გამოიცვალა მიდიიდან მოყოლებული და ყველას ერთი მისწრაფება ჰქონდა – **„მკვდარ ერად“** ვექციეთ, მოესპო ჩვენთვის **„მამული, ენა, სარწმუნოება“...**

ერეკლე მეფეს სრულად ჰქონდა გააზრებული XVII საუკუნიდან მიღებული მემკვიდრეობა: სხვა თუ არაფერი მისი უშუალო წინაპრები იყვნენ ამის მოქმედნი პირნი, იძულებულნი რომ გახდნენ ერის და ქვეყნის გამაჰმადიანების საფრთხისაგან ხსნა ჩრდილოეთში ეძიათ. მისი სეხნია – **სამსახოვანი და სამსახელიანი ერეკლე I, „ნიკოლოზ დავიდოვიჩი“ (მოსკოვში) და „ნაზარალი ხანი“ (თეირანსა და სტამბულში)**, ალბათ, ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი მაინცაა მსოფლიო ისტორიაში, სამჯერ რომ გამოიცვალა სამეფო ტახტი სამ ქვეყანაში. სწორედ მის დროს დაარსდა მოსკოვში პირველი 300-კაციანი ქართული დასახლება 1652 წელს, მერე რომ **„ბოლშაია ი მალაია გრუზინსკაიათი“** მონათლეს მოსკოველებმა...

ეს ყველაფერი რა თქმა უნდა, იცოდა ერეკლე მეფემ, ალბათ ისიც, რატომ გამოაძევეს მისი სეხნია რუსეთის სამეფო კარიდან, არ აპატიეს სასიყვარულო რომანი დედოფალ ნატალია ნარიშკინასთან, შედეგად მომავალი იმპერატორი პეტრე დიდი რომ იშვა... მაგრამ რომანტიკა რომანტიკაა – იგი ხშირად როდის ექვემდებარება ერისა და ქვეყნის ინტერესებს – განა იგივე პეტრე დიდი, ანდა, მერე ახალმოდური რუსეთის იმპერიის მეორე დიდი ქართველი შემოქმედი სტალინი არ იყო, რომ ჩირის ფასადაც არ ჩააგდეს საქართველოს ინტერესები?!... **იმპერატორი იმპერიას უნდა ემსახუროს – ასეთია ისტორიის კანონი...**

ერეკლე მეფეზე წერილებში ილიას ეს ინტრიგაც აქვს გატარებული: რამდენადაც ნებისმიერი ქვეყნის ხელმძღვანელის პოლიტიკა მოცემულ დრო-ჟამს შესაძლებელის მიღწევის ხელოვნებაა, ამდენად ერეკლე მეფემ თავის დრო-ჟამს შესაძლებელის მაქსიმუმის მიღწევა შემლო თავისი ერისა და ქვეყნისთვის. აქედან გამომდინარეობს ილიას ცნობილი ფორმულაც, ხოტბა-დიდებას რომ ასხავს ივანე ჯავახიშვილი: „**ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩავჯდეთ და მერე განვიკითხოთ ამ დროების შვილნიცა**“...

ისე, რომ ჩვენი დღევანდელი დრო-ჟამიდან ნუ „განვიკითხავთ“ ერეკლეს მოეწერა ხელი თუ არა გეორგევსკის ტრაქტატზე... „მნელბედობის“ უბედურებაც ის იყო და არის დღესაც, რომ რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას სხვა ვერაფერს დაუპირისპირებ, გარდა უსიტყვო და არცთუ სასიამოვნო თანხმობისა, სხვანაირად არსებობის პრობლემა დგება მუდამ...

ილიამაც „საერთო ნიადაგის“ თეორია „გათიშე და იბატონეს“ იმპერიული პოლიტიკის საპირწონედ შექმნა. ყველა იმპერია ხომ იმას ისწრაფვის, რაც თავის ღმერთს შეჰკლავდა შაჰ-აბასმა: „**ღმერთო, ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემ!**“

დღესაც შაჰ-აბასის ეს წყევლა-ღალადი მოგვდევს ბედისწერად. წინასწარ განსაზღვრა ეს ილიამ არაერთხელ, განსაკუთრებით მესამედასეულ მარქსისტებთან პოლემიკაში. სწორედ ამიტომ „საერთო ნიადაგის“ თეორიის მის მრავალ იდეათა და პრინციპთაგან უპირველესი ქვეყნის „**ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენება**“:

„ისტორია... შეუწყვეტელი ბრძოლაა ბუნებასთან, სიღარიბესთან, ყოველგვარ შევიწროებასთან და უბედურებასთან, რასაც ადამიანი შეეყრება თავის ცხოვრებაში და ნუთუ ამ ბრძოლაში სანატრელი არ უნდა იყოს ერთობა და ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენება?!“...

„მნელბედობის“ უმთავრესი პოლიტოლოგიური დასკვნაც მისთვის „**ძველი ჩვენი დიდებული ოქროვანი ხანის ერთნებაობითა და თანადგომით ქვეყნის მართვის**“ აღორძინება-განახლება-გათანამედროვეობაა. ამ გააზრებით ილია ჩვენი დღევანდელი გიორგი ათონელი – მთაწმინდელია, იდეოლოგიურად რომ შეამზადა XI–XII საუკუნეების მართლაც რომ განუმეორებელი „**დიდებული ხანა**“. ამ ხანას რომ ახასიათებს, ივანე ჯავახიშვილი „**ქართული სამართლის ისტორიაში**“ კანონიერი სიამაყით წერს:

„დაკვირვებული მკითხველი... დარწმუნდება, თუ რაოდენი შემოქმედებითი მუშაობა გაუწევია ქართველ ერს საუკუნეთა განმავლობაში სოციალური ცხოვრების ასპარეზზე და სამართლის სფეროშიაც. იგი თავისი თვალთ დაინახავს იმ გაცხოველებულ მუშაობას და შეუწყვეტელ ბრძოლას, რომელიც სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებაში და სოციალურ ცხოვრებაში წარმატებისა და სამართლიანობის მოსაპოვებლად წარმოებდა“.

ისიც ხომ ფაქტია, რომ ინგლისზე ადრე საქართველოში მოხდა ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროს დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ფორმირება „სააჯო კარის“ სახით, ხოლო თამარ მეფის დროს ჩაისახა კონსტიტუციური მონარქიის პირველი ნიშნები თავისებური პარლამენტის „ისნის კარავის“ დაფუძნებით. ასევე სიამაყით წერს ბ-ნი ივანე იმ მართლაც რომ დაუჯერებელ ფაქტს, რომ ეკონომიკური თვალსაზრისითაც მაშინდელი საქართველო დიდად უსწრებდა არა მარტო ყველა მეზობელ სახელმწიფოს, არამედ ეროვნული შემოსავლით თითქმის ორჯერ აღემატებოდა საფრანგეთს...

თამარ მეფის დროს კი, მართლაც რომ უპრეცედენტო რამ მოხდა – საქართველოში არა მარტო აიკრძალა სიკვდილით დასჯა, არამედ ადამიანის ნებისმიერი ფიზიკური სასჯელი, დასახიჩრება და ჯანმრთელობის ხელყოფა... შორს რომ არ წავიდეთ და არც საბჭოთა რეჟიმის გახსენება დაგვჭირდეს, იქნებ, ჩვენს მიერ გავლილი უკანასკნელი ათწლეულები გავიხსენოთ, თუნდაც 90-იანი წლების ასობით და ათასობით მსხვერპლნი თვით პრეზიდენტის ჩათვლით დამოუკიდებლობის დასაწყისშივე?!...

„ნუ წავახდენთ საქართველოს“ ...

ზევითაც ითქვა, რომ ივანე ჯავახიშვილის მიერ 1940 წელს გამოცემული „ახალი ქართლის ცხოვრება“ ერთ ასეთ საოცარ მოწოდებას შეიცავს ჩვენს დასამოდვრად და გასაგონად: **„ნუ წავახდენთ საქართველოს!“** არ ვიცი ვახტანგ VI „სჯულმდებელი“ და მისი მაშინდელი „დასი“ წინასწარ გრძნობდნენ თუ არა ამ „წახდენის“ საფრთხეს, მაგრამ ფაქტი ხომ ჯიუტია...

ეს ამასთან, ივანე ჯავახიშვილის ანდერძიცაა, რამეთუ ის ყველაზე კარგად გრძნობდა, თუ საით მიექანებოდა მის ეპოქაში შობილი „საბჭოთა საქართველო“...

მადლობა ღმერთს, იგი დღეს წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ისტორია ხომ გრძელდება?!... ინერციის ძალა მასაც აქვს, და აი, 400 წლის შემდეგ ამ ძველ XVIII საუკუნის მოწოდებას ძალა არ დაუკარგავს – დღესაც გვმართებს ყურად ვილოთ ეს მოწოდება – **„ნუ წავახდენთ საქართველოს!“**...

ამიტომ, ალბათ ღირს გავიხსენოთ ბ-ნი ივანეს ის მოწოდებაც, რომელიც მან თავისი მონოგრაფიით – **„ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“** დაგვიტოვა 1938 წელს, როცა იქ ილიას სტატიას – **„ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“**?, ანალიზებს. აი, ამ ანალიზის დასკვნა, რასაც ბ-ნი ივანე ილიას ამ სტატიიდან ცალკეული ამონარიდებით ამაგრებს:

„...ილია ჭავჭავაძემ ქართველთაგან პირველმა დააყენა ეკონომიკის პირველადობის პრობლემა. აი რას სწერს იგი 1880 წელს:

„საქართველო დღე და ღამ იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა... და ბოლოს XVIII საუკუნის დასასრულს თვითმყოფადი სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავისი ვალი და ვახში არ დასდებია.

ვთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის – რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა? რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლისღვრასა – საზრდოობას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?“.

ჯერ არცერთ ქართველს არ მოსვლია თავში ასეთი კითხვაო – წერს ჯავახიშვილი და აი, ვნახოთ ამ კითხვების კომენტარიც, რომლითაც იგი საქართველოს და ქართველი ერის მომავლის სწორი სტრატეგიის შემუშავების „პირველხარისხოვან ამოცანად“ განსაზღვრავს:

„იმ ეკონომიკურ საფუძვლად, რომლითაც ხალხს და ქვეყანას ეს შეადლებინა... ილიას მიწათმფლობელობის წესი მიაჩნია, მისი სიტყვით, „ჩვენს ეკონომიკურ წყობაში ორგვარი მიმართულება იყო – სასოფლო და საკომლო... პირველი მიიზიდებოდა იქითკენ, რომ სოფლის მიმდებარე მამულები – მიწა, მინდორი – სამოვარი, ტყე საზოგადო-სასოფლო მფლობელობაში უნდა ყოფილიყო, მეორე კი – კერძო საკუთრებაში“...

ჩვენმა ისტორიამ ასე ჰკვიანურად და რაც მთავარია, სამართლიანად მოარიგა ერთმანეთში კერძო – საკომლო და საზოგადოებრივი, ანუ, სათემო – სასოფლო მიწათმფლობელობის ინტერესები. ამიტომ იყო, რომ „ივერიის“ თითქმის ყველა ნომერში მოთავსებულია განცხადება-მოწოდება შეექმნათ სოფლად „ამხანაგობები“, რამეთუ კაპიტალიზმის ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარების კვალობაზე საქართველოში სულ უფრო და უფრო გაბატონებულ პოზიციებს იკავებდა კერძოობა, ხოლო შესაბამისად, სათემო – სასოფლო კნინდებოდა...

ბ-ნ ივანეს მოჰყავს დასკვნა, რომ ძველი, საუკუნეებში ბუნებრივ-ისტორიული განვითარებით დამკვიდრებული მიწათმფლობელობის ეროვნული წესისა და ტრადიციის ხელყოფა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას სიკეთეს არაფერს მოუტანს, რამეთუ, – აქაც იშველიებს ილიას სიტყვებს მისი ამ სტატიიდან, რომ ძველ საქართველოში: „...ტყისა და მინდორ-სამოვრების განკერძოება ყოვლად შეუძლებელი იყო და დღეის აქამომდეც ჩვენი ხალხის გონებაში ვერ თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე თუ არა სასოფლო“ (ხაზგასმა ივანე ჯავახიშვილისა).

კომლი და ხოდაბუნი...

სისხლის ნათესაობაზე დაფუძნებული ძველი ქართული „კომლი“ და სასოფლო-სათემო კორპორაციები ილიას იდეალია. „ივერიაში“ სოფლად

ამხანაგობების ორგანიზებას არაერთი წერილი და სტატია აქვს მიძღვნილი. ეს ჩვენი სიტყვაც – „ამხანაგი“ კომუნისტების მოგონილი კი არა, ქართველი ერის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით არის დამკვიდრებული. მისი სინონიმია „**ხოდაბუნი**“, რომელიც დღეს სამწუხაროდ, ხმარებაში აღარაა...

ესეც სიმბოლურია: „ხოდაბუნი“ პირველად ძველი „ქართლის ცხოვრების“ შიო მღვიმის მონასტრისადმი დავით აღმაშენებლის „ანდერძშია“ მოხსენიებული. ყველა განვითარებული ერის ბუნებრივ-ისტორიულმა განვითარებამ წარმოშვა ასეთი „ამხანაგური კორპორაციები“ და ამიტომ იყო, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილიც მათზე აფუძნებდა თავის „არასახელმწიფოებრივ-სოციალიზმის“ იდეას. მისი გარდაცვალების შემდეგ (1925 წ.), ევროპაში ამ იდეის დიდი პოპულიზატორი გახდა ე.წ. „ავსტრო-მარქსიზმის“ წარმომადგენელი კარლ რენერი. II მსოფლიო ომის შემდეგ ეს იდეა „ეროვნული სოციალიზმის“ სახელით გავრცელდა და პრაქტიკული პოლიტიკის სახეც მიიღო ბევრგან: „ნორვეგიული სოციალიზმი“, „ისლანდიური სოციალიზმი“, „შვედური სოციალიზმი“, „ებრაული, ანუ კიბუცური სოციალიზმი“...

ილია დიდ პატივს სცემდა ვარლამ ჩერქეზიშვილს, ოჯახურადაც ახლო იყო მასთან და მის მიერ 1904 წელს დაარსებულ „**საქართველოს სოციალისტურ-ფედერაციულ პარტიას**“ გარკვეულად თანაუგრძნობდა. ამ პარტიის სხვა ლიდერებიც – **არჩილ ჯორჯაძე, მიხაკო წერეთელი, შალვა ნუცუბიძე, გრიგოლ რობაქიძე, კიტა აბაშიძე...** ჩვენი ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ და კარგი იქნება, თუ მათი მემკვიდრეობა ამ მხრივაც ჩვენი კვლევა-ძიების ობიექტი გახდება.

აქაც ჩვენი ისტორიის ფესვებში უნდა ჩავიხედოთ. ეს სიკეთის გარდა, სხვა არაფერს მოგვცემს. ვგონებ, რომ ჩვენზეც ითქმის, რაც ჩერჩილმა ხრუმჩოვზე თქვა – გენიოსი უნდა იყო, რომ პურის რუსეთი უპუროდ დატოვო! ჩვენი მიწა-წყლის პატრონებიც გენიოსები უნდა ვიყოთ, რომ ქვეყანა ვაშიშმილოთ...

ახლიდან უახლესისკენ:

„მცხეთის საიდუმლო სერობა“...

ისე, რომ ერეკლე მეფესთან დამთავრდა ეს „ახალი ქართლის ცხოვრება“ და ერეკლე მეფის ეპოქაშივე დაიწყო უახლესიც – აი, უმთავრესი აზრი და გზავნილი XIX–XX საუკუნეებისა. ამ მხრივაც პატარა კახს გამორჩეული ადგილი უკავია ქართველი ერის „ძნელბედობის“ ისტორიაში: XIX საუკუნე თავისებური წყალგამყოფი აღმოჩნდა საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებაში. სწორედ ამ საუკუნეში დაიკარგა ყველაფერი, რასაც ქართული ერქვა. ამდენად, XIX–XX საუკუნეების ჩვენი ისტორია ფაქტიურად ხელახლაა

დასაწერი: შელამაზებული და ცრუ ისტორია არაფერში გვჭირდება, პირიქით – ის სწორ გზას აგვაცდენს...

ილიამ მოგვცა ამ ისტორიული მოვლენის დახასიათება. ის ხომ, იმ ეპოქის შვილი იყო, როცა მისი ლელთ ლუნას სიტყვებით რომ ვთქვათ, „წარხდა ქართველთა სახელი და ქართველთა წეს-წყობაი“. ცენზურის პირობებში ის პირდაპირ ვერ ილაპარაკებდა აჯანყებებზე და ე.წ. „შეთქმაზე“ – რუსეთის წინააღმდეგ დიდ შეთქმულებაზე, მის ლიდერებზე, აჯანყების გეგმასა და პროგრამაზე, სადაც ბევრი პოლიტიკური პრინციპი დღესაც არ კარგავს აქტუალობას (მაგალითად, „ორ-პალატიანი პარლამენტი და ინგლისის მსგავსი სახელმწიფო წეს-წყობა“). აი, როგორ აღწერს „შეთქმას“ ვრცელ სარედაქციო სტატიამი – „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ თავისებური ალეგორიებით და „ეზოპეს ენით“:

„...მეთვრამეტე საუკუნის ვაი-ვაგლახმა და მეცხრამეტის პირველი წლების წეწვა-გლეჯამ ჩვენი ერი მოჰღალა, ქანცი გაუწყვიტა, თავის თავის იმედი დააკარგვინა... და თითქმის ხმა-ამოუღებლივ დაემორჩილა ახლად მოვლენილს ბედსა.

... წარსულის მომხრენი დამარცდნენ, თუმცა გულისტკივილი მათი თესლად დარჩა ცხოვრების ხნულში...

ჩვენ ვწუხვართ, რომ მეტს ვერას ვიტყვით ამ თესლად დარჩენილისას... ხოლო რაცა ვთქვით, ისიც საკმაოა გვაცოდინოს, რომ ამ თესლზე გასწყდა ჯაჭვი ცხოვრების ზედ-მიყოლებისა, აწმყოსა და წარსულს შორის ჩატყდა ხიდი“.

უკეთესად ვერ დაახასიათებ „შეთქმას“ – ილიას მთელი ამ ვრცელი სტატიის ანალიზი იმაზე მიგვანიშნებს, რომ „ქართული ცხოვრების ხნულში“ შეთქმულების მთავარმა ორგანიზატორებმა და იდეოლოგებმა (ალექსანდრე, ბაგრატ, ოქროპირ დიმიტრი და თეკლე ბატონიშვილები, ვახტანგ, გრიგოლ და ალექსანდრე ორბელიანები, გიორგი ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი, თბილისში გადმოსახლებული პოლონელები), ისეთი „თესლი ჩათესეს“, რომელიც მომავალში აუცილებლად კეთილ ნაყოფს გამოიღებს...

1832 წელს გამცემლობის შედეგად შეთქმულები დამარცხდნენ, მათ ჯერ ე.წ. „შაყის კვრის წესით“ სიკვდილი მიუსაჯეს (ესეც ძველი მონღოლთა „ოქროს ურდოდან“ მომდინარე ორივე იმპერიის საერთო-საფირმო ნიშანია: სიკვდილმისჯილს ჯერ ოთხივე კიდურს ცალკ-ცალკე სჭრიდნენ, ბოლოს კი, თავს მოკვეთავდნენ), მაგრამ რუსეთი თვითონაც რომ არ ელოდა, ისეთი მასშტაბის აღმოჩნდა შეთქმულება და განზრახული აჯანყება:

ის კავკასიის ფარგლებს კარგა შორს გასცდა და თვით ნიკოლოზ I ვერ წავიდა იმ რისკზე, რომ ასე ბარბაროსულად დაესაჯა „შეთქმის“ მოთავენი – ის მარტო საერთო-კავკასიური და სპარსეთ-თურქეთის მასშტაბის კი არა, ევროპულსაც აღმოჩნდა: გამოძიებამ როცა დაადგინა პეტერბურგში ინგლისის

ელჩის და თბილისში საფრანგეთის კონსულის გრაფი ლეტელიეს შეთქმულებაში მონაწილეობა, რუსეთი მოერიდა საერთაშორისო სკანდალს და იძულებული გახდა მიეჩქმალა მისი ასეთი საერთო – ევროპული მასშტაბები, „შაყის კვრაც“ გადასახლებებით შეცვალა...

მასალებიდან ირკვევა, რომ შეთქმულება ჩაისახა გადასახლებულ ბაგრატიონთა წრეში, რომელიც დაკავშირებულია ნაპოლეონის დამარცხებასთან (გამარჯვების შემთხვევაში, ხომ ნაპოლეონმა შემდგომში რუსეთიდან ინდოეთზე გალაშქრების პლაცდარმად თბილისი აირჩია!), კონკრეტულ თარიღად კი 1820 წელი უნდა ჩაითვალოს: ამ წელს დამარცხდა იმერეთის აჯანყება, ერეკლე მეფის შვილიშვილი სოლომონ II ტრაპიზონში გადაიხვეწა და ამით დამთავრდა კიდეც რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა, ბაგრატიონთა დინასტიის დამხობა და საბოლოოდ მოსპობაც...

მაგრამ ბაგრატიონები ასე ადვილად არ ჩაბარდნენ ისტორიას – სხვა თუ არაფერი, აჯანყების დროშა ხომ, თეკლე ბატონიშვილმა მოქსოვა, ხოლო ბაგრატიონებიდან რუსეთთან ყველაზე შეურიგებელი მეზრძოლი ალექსანდრე ბატონიშვილი (მან შვილსაც ხომ, პაპის სახელი დაარქვა!), მთავარსარდლად იქნა შერჩეული... „შეთქმის“ დამარცხების შემდეგ კი, იგი შამილის აჯანყების სახით გაგრძელდა მთელ კავკასიაში, რასაც პოემა „ქართველის დედა“ მიუძღვნა ილიამ...

ერთი სიტყვით, ერეკლე მეფის და „შეთქმის“ თარიღები ერთმანეთს ისე ლოგიკურად არის დაკავშირებულ-გადაბმულნი, რომ ისინი ასევე ლოგიკურად და ბუნებრივად თხოულობენ ერთობლივ აღნიშვნას: პირველის დაბადების 300 წელი, მეორის 200 წელი. ამასთან ისიც უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ ეს უკანასკნელი ეროვნულის გარდა, საერთო-ევროპულ ხასიათსაც ატარებდა და ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ორივეს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიეძღვნება:

სოლომონ დოდაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, – **„რათა ევროპამან ჰცნას ივერია წერილთა სარწმუნოთა“**. ამასთან, ამით ევროპა უკეთ გაიცნობს ჩვენს ისტორიას, სახელოვან ჩვენს მეფესაც და მის ტრაგიზმსაც, რაშიც ლომის წილი რუსეთისაა...

ერთიც უნდა აღინიშნოს: ახალი მასალებით ირკვევა, რომ 1829 წელს ოქროპირ ბატონიშვილმა ინგლისის ელჩის დახმარებით მოახერხა საქართველოში საიდუმლოდ ჩამოსვლა (ბაგრატიონებს აკრძალული ჰქონდათ სამშობლოში ჩამოსვლა) და მცხეთაში პაპის საფლავზე შედგა „ფიცით შეკვრა“ – არ შეარჩინონ რუსეთს ერეკლე მეფის ღალატი კრწანისთან, კრწანისამდეც და კრწანისის შემდეგაც...

„მცხეთის საიდუმლო სერობა“ – ასე შეიძლება ეწოდოს **„შეთქმულთა ერეკლე მეფის საფლავზე ფიცით შეკვრას“**. პოეტურადაც რომ ასე შესანიშნავად იქნა გააზრებული:

„ჯერ ხომ სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში,
საქართველოს ცხელი გული ასვენია“...

– მე რუსეთზე ჯვარი კი არა მაქვს დაწერილი...

ესეც ისტორიული ფაქტია – ერეკლე მეფემ გააგრძელა ის ხაზი, რაც გიორგი ბრწყინვალემ, ვახტანგ VI და სულხან საბა-ორბელიანმა ევროპასთან პოლიტიკით ჩაუყარეს საფუძველი. ძველი, ახალი და უახლესი „ქართლის ცხოვრება“ ამ მხრივაც ერთიან ეროვნულ-ისტორიულ პროცესს წარმოადგენს ფარსმან ქველიდან და პეტრე იბერიდან დაწყებული დღემდე. ესეც უნდა გავაგებინოთ ევროპასაც და სხვებსაც, პირველ რიგში კი, ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს, რომელსაც მაშინ ჯერ თავისი ისტორიაც არ ჰქონდა...

ერეკლე მეფის დროს ევროპელი მისიონერების რაოდენობა ასეულებს შეადგენდა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, მისი ყველა შვილების და შვილიშვილების აღმზრდელები ხომ, მისიონერები იყვნენ და როცა ისინი ურჩევდნენ ევროპულ ორიენტაციას, ისე როგორც წარმოშობით სომეხი ვაჭარი იოსებ ემინიც, „ინდოეთ-ინგლისის კომპანიის“ ერთ-ერთი ფუძემდებელი, ერეკლე მათ პასუხობდათ:

– თქვენ რა გგონიათ, მე რუსეთზე ჯვარი კი არა მაქვს დაწერილი, მაგრამ რამდენი თხოვნაც არ გავაგზავნე ევროპაში, ერთი ზარბაზანი და ზარბაზანის ოსტატიც კი არ მაღირსეს... ბრმა ხომ არა ვარ, ვხედავ, რომ ფაქტიურად რუსეთს დაუთმეს კავკასია, მტკიცედ მჯერა – ჩვენს გამო ევროპა რუსეთს ომს არ დაუწყებს და მეც რა ვქნა, მაჰმადიანურ სახანოდ ვაქციო ქვეყანა?!...

რაც შეეხება შეთქმულების მასშტაბებს, აქაც მრავალრიცხოვანი მასალებით ირკვევა, რომ მას თანაუგრძნობდა ევროპის ბევრი ქვეყანა. მეტიც, აქტიურად მონაწილეობდნენ მასში (პოლონეთი, საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია). მერე კი, ყირიმის ომის დროს ინგლისმა და საფრანგეთმა საზღვაო ოპერაციებიც განახორციელეს ყირიმსა და ჯიქეთშიც... ისე, რომ ერეკლეს შემდეგ ევროპამ მთლად თავის ნებაზე აღარ მიუშვა რუსული უსაზღვრო – უკიდევანო ამბიციები... ისე, რომ დღეს ევროპას ისტორიაც ავალდებულებს ამას და დღევანდელობაც...

აქაც მართლდება ერეკლე მეფის „რუსეთთან ჯვარის დაწერის“ სიმბოლიკა და დღეს სწორედ ევროპა უნდა გახდეს მასთან „განქორწინების“ გარანტი ჩვენთვის...

რაც შეეხება რუსეთის წინააღმდეგ „შეთქმას“ დიდ საერთო – ეროვნულ აჯანყებას, შეიძლება ითქვას, რომ ისიც პირდაპირი გაგრძელებაა რუსეთის მიერ ერეკლე მეფესთან დადებული ხელშეკრულების ვერაგულად დარღვევისა.

ამიტომ, რომ 1919 წლის მონოგრაფიაში ივანე ჯავახიშვილის ასეთ გულსაკლავ სიტყვებსაც შევხვდებით:

„ერეკლე მეფის... სიბერის დღენი ეგების იმ მწარე გრძნობით იყო მოწამლული, რომ ამის ბრალი მის პირადს პოლიტიკურ გულუბრყვილობასა და რუსეთის მთავრობისადმი განუსაზღვრელ ნდობასაც ედებოდა“.

მაგრამ ესეცაა – სხვა არჩევანიც არ ჰქონდა დიდ გეოპოლიტიკურ თამაშში ჩართულს და ამდენად, – ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა...

ერეკლე მეფე და „შეთქმა“:

ილიას ინიციატივა და დღევანდელი...

ილია და ივანე ჯავახიშვილი ერეკლე მეფესთან ორგანულ მთლიანობაში განიხილავდნენ შეთქმას. ეს ბუნებრივიცაა – იმ 150 კაციდან, რომლებიც გამოძიებამ შეთქმულების აქტიურ წევრებად ჩათვალა, ბევრნი პირდაპირ თუ არაპირდაპირ ერეკლე მეფის ჩამომავლებია. ამიტომ ბუნებრივია, რომ ეს ორი თარიღი ერთად ავლნიშნოთ ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში. ასე ინება ისტორიამ და ჩვენც უნდა მივყვეთ მას...

ილია დიდად აფასებდა შეთქმულების ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგს და ორგანიზატორს სოლომონ დოდაშვილს (1805–1836). მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, მან საკმაოდ მდიდარი მემკვიდრეობა დატოვა. მის ადგილს და როლს ილია განსაზღვრავდა როგორც ეროვნული მოძრაობის პირველი მედროშისა და ევროპეიზმის ფუძემდებლისა საქართველოში.

მას დასამთავრებელი დარჩა მეტად საყურადღებო ნაშრომი ერეკლე მეფის ისტორიაზეც, სადაც ეხება საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ საკითხს, რომელიც ერეკლეს ფიქრის ობიექტიც იყო მუდამ: მონღოლთა შემოსევებისაგან „მოოხრებული ივრისპირეთი“. დღესაც ხომ, დავით გარეჯიდან მოყოლებული მინგეჩაურამდე, ეს ნახევარი კახეთი განქართულებულია...

ბრძენი და გონიერი კაცი იმით განსხვავდება დანარჩენებისაგან, რომ იგი გაცილებით შორს იხედება, ღრმად და სწორად თვლის მოვლენათა შესაძლო განვითარების მიმართულებებს... ილიას შემთხვევაში ამის ათასი მაგალითია და ეს მისი შორსმჭვრეტელობა აქაც გამოჩნდა.

ზემოდაღნიშნულ ერეკლე მეფეზე ილიას წერილში სწორედ დოდაშვილის ამ იდეის განხორციელებისათვის „ერეკლე მეფის ფონდის“ დაფუძნების საკითხია დაყენებული:

„... ნეტარ არს იგი, რომელსაც დიდება მხარს უმშვენებს სათნოებას და სათნოება – დიდებასა. ამ ნეტარებას ნუთუ დავიშურებთ იმ კაცის

სახელისათვის, ვინც 52 წელი „რკინის კარი“ იყო საქართველოსთვის. მისი ამისთანა სახსნებელი ... ანდერძს ემგვანება, იმ ანდერძსა, რომელიც ისაქმებს ჟამთა გაუთავებლად ერეკლე მეფის სახელითა“...

„ერეკლე მეფის ფონდის“ მეშვეობით, თუკი ილიას ამ იდეის განხორციელებას ხელს შევაშველებთ, ეს იქნება მართლაც რომ დიდი საშვილიშვილო საქმე: დღეს ივრისპირეთში მხოლოდ ძველი სოფლებისა და ციხე-ბურჯების ნანგრევებსღა თუ ვნახავთ. ამიტომაც ივრისპირეთის განახლება ეს ძველი, ახალი და უახლესი „ქართლის ცხოვრების“ სიმბოლური გაერთიანება იქნება:

ივრისპირეთი – ძველი საქართველოს ეს უმდიდრესი განაპირა სასაზღვრო მხარე ხომ, სწორედ ძველი და ახალი „ქართლის ცხოვრების“ მიჯნაზე „მოოხრდა“ მონღოლებისგან და დღეს მისი გამოცოცხლება მართლაც რომ საშვილიშვილო საქმე იქნება „ჟამთა გაუთავებლად“. ილიას ამ იდეასაც განხორციელება უნდა ჩვენგან. ესეც სიკეთის გარდა, სხვას არაფერს მოგვცემს...

იქნებ ეს დავიწყოთ 2020 საიუბილეო წელს. ამასთან ეს კარგი საშუალება იქნება ეროვნული ეკონომიკისთვისაც, რისკენაც მოგვიწოდებს ილია თავისი „საერთო ნიადაგის“ თეორიით: „საუკუნის პროექტი“ – შეიძლება ასე ეწოდოს მას...

ამქვეყნად ყველაზე დიდი სამართალი ისტორიას აქვს, რამეთუ იგი სხვა არაფერია, თუ არა ღვთის ნების გამოვლენა დედამიწაზე. მთავარია, რომ მივყვეთ ამ სამართალს რუსთაველური „მართლის ქმნადობით“ ყველაზე უტყუარი სამომავლო გზა ესაა ჩვენთვის...

ესეც ხომ ფაქტია: „გეორგევსკის ტრაქტატის“ ერთ-ერთი დიდი მოტივი მესხეთის გადარჩენა იყო. ერეკლეს ეპოქაში არა თუ ენა, ქრისტიანობა აქ ჯერ კიდევ მკვიდრად იყო შენარჩუნებული და რუსეთის მეშვეობით შესაძლებლად მოჩანდა ამ უძველესი მხარის კვლავ დედა-სამშობლოსკენ მობრუნება...

რუსეთმა აქაც პირიქით გააკეთა – თურქეთთან ომების შედეგად მესხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი კი XIX საუკუნეში წაართვა მას, მაგრამ მანაც აქ „განქართულების“ პოლიტიკა გააგრძელა, მესხების ნაცვლად, აქ უცხო ეთნოსი ჩაასახლა.

მარად უნდა გვახსოვდეს ილიას ეს შეგონება: „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“ და თუ ჩვენც კვლავაც „ერობა გვსურს“ და თავი არ გადაგვიდვია დასალუპავად ძველი „მკვდარი ერების“ მსგავსად, მაშინ უნდა შევიმეცნოთ, თუ – „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“...

ზევითაც ითქვა: 2020 წელს თავისებური ორმაგი დატვირთვა აქვს ჩვენთვის ერთმანეთზე გადაჯაჭვული ისტორიული თარიღების გახსენების თვალსაზრისით – ერეკლე მეფის დაბადებიდან 300 და „შეთქმის“ 200 წლისთავის

აღნიშვნა. საბჭოთა პერიოდში არცერთს წყალობდნენ და არც მეორეს, თითქოს ჩვენს ისტორიაში ეს თარიღები არც არსებობდნენ...

სექტემბრიდან იწყება ახალი სასწავლო წელი და კარგი იქნება, თუ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობაც მთელ საზოგადოებასთან ერთად, აქტიურად ჩაებმება ჩვენი არცთუ შორეული წარსულის ამ დიდმნიშვნელოვანი ეროვნული თარიღების აღნიშვნაში: ქვეყნისა და ერის მომავალი ხომ, მათ ხელშია. ყველა თაობას უნდა გვახსოვდეს ეს სიბრძნე-შეგონება: **„ის ურჩევნია მამულსა, შვილი რომ სჯობდეს მამასა“...**

ვფიქრობთ, ამ მიზნით ორგანიზებული იქნას ცენტრშიც და რეგიონებშიც გარკვეული კონკურსი-კონფერენციები წამახალისებელი ჯილდოებით. ჩვენც ჩვენი მხრივ, ეროვნული ბიბლიოთეკის „ილიას დარბაზი“ მზადაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს საიუბილეო ღონისძიებათა მომზადებაში თემატიკის შერჩევით და კონსულტაციებით.

ჩვენ დღეს ვალდებული ვართ გავაგრძელოთ ივანე ჯავახიშვილის მიერ 1919 წელს დაწყებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ობიექტური კვლევის საქმე, რამეთუ დღესაც **„ისტორია ჭეშმარიტის მეტყუელება არს“**. უპრიანი იქნება შესაბამისი სამეცნიერო-პოპულარული კრებულის და მონოგრაფიების გამოცემა, რაც თავისებურად დააგვირგვინებს 100 წლის წინ დაწყებულ საქმეს...

ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუ მომზადდება და ჩატარდება ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: **„ქართულ-ევროპული ურთიერთობანი: წარსული, აწმყო, მომავალი“**. ეს მეტ პრაქტიკულ ღირებულებას და აქტუალობას შესძენს ერეკლე მეფის იუბილეს.

პროფ. ელბერდ ბატიაშვილი

– მე ვარ ავი მუსაიფი...

(ამონაკრები ძველი, ახალი და უახლესი
„ქართლის ცხოვრებიდან“).

1. შესავლის მაგიერ	1
2. ილია და ერეკლე მეფე...	1
3. „საერთო ნიადაგია“ ხსნა....	3
4. „კრწანისზე მწარე წიწამურია“...	5
5. „ისტორია ჩვენი დიდი მასწავლებელია“...	5
6. ერეკლე მეფე – „დიდბუნებოვანი კაცი“	7
7. ძველი, ახალი და უახლესი „ქართლის ცხოვრება“...	8
8. „აღლესა მახვილი მხილებსაი“...	10
9. რატომ უღალატა ჯავახიშვილმა ისტორიას?....	11
10. „მნელბედობა“ – ისტორიული და პოლიტოლოგიური გააზრებით	13
11. „ნუ წავახდენთ საქართველოს“...	17
12. კომლი და ხოდაბუნი...	18
13. ახლიდან უახლესისკენ: „მცხეთის საიდუმლო სერობა“...	19
14. – მე რუსეთზე ჯვარი კი არა მაქვს დაწერილი...	22
15. ერეკლე მეფე და „შეთქმა“: ილიას ინიციატივა და დღევანდელი...	23